"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 61-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია შპს "მთავარი არხის" შესახებ

I

ა) შესაბამისობის დეკლარაცია თანდართულია დანართის სახით (იხ. დეკლარაცია 2 გვერდად).

**დეკლარაცია გამოქვეყნებულია შპს „მთავარი არხის" ოფიციალურ ვებგვერდზე- https://mtavari.tv/*

ბ) მაუწყებელი არის ავტორიზებული პირი: 1) საერთო ტელემაუწყებლობა (საერთო) ავტორიზაციის ნომერი BR-5062 ("მთავარი არხი")

გ) მაუწყებელი არ ფლობს სხვა მაუწყებელში წილს ან აქციებს;

დ) მაუწყებელი არ ფლობს პერიოდულ ბეჭდვით გამოცემას;

ე) მაუწყებელი არ ფლობს პერიოდულ ბეჭდვით გამოცემაში წილს ან აქციებს;

ვ) მაუწყებელი არ ფლობს საინფორმაციო სააგენტოს;

ზ) მაუწყებელი არ ფლობს საინფორმაციო სააგენტოს წილს ან აქციებს;

თ) მაუწყებელი არ ფლობს სხვა საწარმოში წილს;

II

მაუწყებელმა მიაწოდა კომისიას ამ 61-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია 2024 წლის 1 თებერვლამდე.

III

მაუწყებლის წილის მფლობელთა მიერ მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის მფლობელის წილის ფლობის შესახებ ინფორმაცია:

მაუწყებლის დამფუძნებელი, შპს „ომეგა მოტორს თბილისი" (ს/კ 405010731) არის შპს „იბერია-TV"-ის (ს/კ: 201950594) 100%-იანი წილის მფლობელი. შპს „იბერია-TV" არის მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული პირი *[ავტორიზაცია შეჩერებულია].* შპს „ომეგა მოტორს თბილისი" არ ფლობს პერიოდულ ბეჭდვით გამოცემაში წილს ან აქციებს და/ან საინფორმაციო სააგენტოში წილს ან აქციებს.

მაუწყებლის დირექტორი - გიორგი ქურდაძე ფლობს 35 % წილს შპს „ტელე-რადიო კომპანია „ბორჯომში" (ს/კ: 226112471)

მაუწყებლის სხვა წილის ან აქციების მფლობელი, დამფუძნებელი, სხვა წევრი, ხელმძღვანელი შემომწირველი ან მათი ოჯახის წევრი არ ფლობენ:

ა) მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის მფლობელის ან მაუწყებლობაზე ავტორიზებული პირის წილს ან აქციებს;

ბ) პერიოდულ ბეჭდვით გამოცემაში წილს ან აქციებს;

გ) საინფორმაციო სააგენტოში წილს ან აქციებს.

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 70-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია შპს "მთავარი არხის" შესახებ

"მთავარი არხის" გასული წლის საქმიანობა მიმდინარეობდა კომპანიის კონცეფციის შესაბამისად, მიუხედავად მძიმე პოლიტიკური წნეხისა და სხვა მძიმე გამოწვევებისა, მათ შორის ფინანსური პრობლემებისა. ტელეკომპანია ახორციელებდა მაუწყებლობას საქართველოს მასშტაბით და მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებულობას, ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ანალიტიკური, მიმოხილვითი, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, გასართობ-შემეცნებითი, სპორტული, გასართობი, მუსიკალური, სპორტული, იუმორისტული და დოკუმენტური კონტენტის გადაცემას სატელევიზიო ეთერით.[1]

დაფინანსების წყაროები:

კომპანიას გააჩნია საკუთარი სახსრები, რომლითაც ის მოქმედებდა თავისი სამეწარმეო საქმიანობის და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განსახორციელებლად. კომპანიის ძირითადი დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა მისი საეთერო დროის რეალიზაცია [რეკლამა]. დეტალური ფინანსური ანგარიში წარედგინება ცალკე დოკუმენტის სახით[2].

საქმიანობის გეგმა:

შპს "მთავარი არხის" გასული წლის საქმიანობის გეგმა განხორციელდა მისი კონცეფციის შესაბამისად. ტელეკომპანია ახორციელებდა მაუწყებლობას, როგორც საერთო მაუწყებელი, მთელი საქართველოს მასშტაბით და მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებულობას, საინფორმაციო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ანალიტიკური, მიმოხილვითი, გასართობი, იუმორისტული, მუსიკალური, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, შემეცნებით-გასართობი, სოციალურ-გასართობი, დოკუმენტური, ინტელექტუალური და სხვა ტიპის კონტენტის ჩვენებას სატელევიზიო ეთერით. 2022 წლის მსგავსად, 2023 წელიც არხისთვის იყო რთული, როგორც ფინანსური, ისე მორალური თვალსაზრისით. არხის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი პოლიტიკური პატიმრობიდან გათავისუფლდა 2023 წლის 22 ივნისს.

---

[1] ******შენიშვნა:*** *არხის კონცეფცია მოიცავს მრავალფეროვანი სახის გადაცემების მომზადებას, თუმცა შესაძლოა კონცეფციაში მითითებული ყველა ტიპის გადაცემა არ გადიოდეს ეთერში. არხი ამზადებს და ეთერში უშვებს გადაცემებს არხის სარედაქციო, მარკეტინგული ინტერესებისა და ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე. შესაბამისად, საქმიანობის კონკრეტულ წელს რომელიმე ტიპის გადაცემის არარსებობა არ გამორიცხავს კონცეფციით გათვალისწინებული გადაცემების მომავალში განთავსებას.*

[2] აუდიტის დასკვნა

დანართი №1

	შესაბამისობის დეკლარაცია	
	შესაბამისობის დეკლარაციის ფორმა №1	
1	ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები	**შპს მთავარი არხი (ს/ნ:404574518)**
2	სამაუწყებლო ლიცენზი(ებ)ის/ ავტორიზაციის ნომერი (ივსება მხოლოდ ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის მიერ)	BR-5062
3	მონაცემები ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისა და ორგანოების შესახებ	გენერალური დირექტორი - გიორგი გაბუნია, საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1975 წლის 28 ივლისს, პ/ნ 01030021792; დირექტორი - მანუჩარ ახალაია, საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1975 წლის 26 ივნისს, პ/ნ 62006003060; დირექტორი - გიორგი ქურდაძე, საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1965 წლის 29 ოქტომბერს, პ/ნ 61001002353;
4	ვადასტურებ ხელმოწერითა და ამ დეკლარაციის მე-5 პუნქტის მონაცემებით, რომ ლიცენზიის მაძიებელი/ავტორიზაციის მსურველი პირი, ან/და ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრეები არ არიან: ა) საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანო; ბ) საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი, სხვა საჯარო მოხელე; გ) საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი; დ) საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს პოლიტიკური პარტია/ პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი; ე) ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული იურიდიული პირი; ვ) იურიდიული პირი, რომლის წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს	29.04.2024 უფლებამოსილი პირების ხელმოწერა გენერალური დირექტორი გიორგი გაბუნია (პ/ნ: 01030021792) დირექტორი მანუჩარ ახალაია (პ/ნ: 62006003060) დირექტორი გიორგი ქურდაძე (პ/ნ: 61001002353)

	ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირი.	
5	ინფორმაცია ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის, ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის ბენეფიციარი მესაკუთრეების საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და მათ საკუთრებაში არსებული წილების თაობაზე.	1. სოფიო ლილუაშვილი (პ/ნ:01024020432) - 12% წილის მფლობელი; 2. თეიმურაზ ვასილიძე (პ/ნ: 646418945 /აშშ/)- 1% წილის მფლობელი; 3. მარი ანა რურუა, (პ/ნ: 55109715) /აშშ/- 2.5% წილის მფლობელი; 4. გიორგი რურუა (პ/ნ: 01018000475)- 2.5% წილის მფლობელი; 5. ნიკოლოზ სისაური (პ/ნ:01025006790)- 3% წილის მფლობელი; 6. შპს საქართველოს უნივერსიტეტი (ს/ნ: 205037137)- 2% წილის მფლობელი [შპს საქართველოს უნივერსიტეტის მესაკუთრეები: ნიკოლოზი ალასანია, პ/ნ: 711734114 /აშშ/-12.5% წილის მფლობელი; გიული ალასანია, პ/ნ: 01024003240- 37.5% წილის მფლობელი; მანანა სანაძე, პ/ნ: 01026006411-50% წილის მფლობელი] 7. ბაკურ ჯაბაია (პ/ნ CB 921484; ER090127 /უკრაინა/) -37% წილის მფლობელი; 8. შპს ომეგა მოტორს თბილისი (ს/კ 405010731)- 0.2% წილის მფლობელი [შპს ბენმონტი-BENMONT-ის მესაკუთრე ზაზა ოქუაშვილი (პ/ნ 01024004133)- 100% წილის მფლობელი] 9. მაგული ხარებავა (პ/ნ 01024008447)- 0.2% წილის მფლობელი; 10. შპს ომეგა მოტორ ჯგუფი (ს/კ 418465440)- 0.2% წილის მფლობელი [შპს ომეგა მოტორ ჯგუფის მესაკუთრე ზაზა ოქუაშვილი (პ/ნ 01024004133)- 100% წილის მფლობელი]; 11. ნათია ჯოგიაშვილი (პ/ნ 01012018671)- 0.2% წილის მფლობელი; 12. BGIM LTD (12184193 /დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო/)- 39.2% წილის მფლობელი [BGIM LTD-ს მესაკუთრე ზაზა ოქუაშვილი (პ/ნ 099237448)/ დიდი ბრიტანეთი/) -100% წილის მფლობელი].

BROADCASTING COMPANY "MIAVARI ARKHI" LTD
404574518

მთავარი არხი

გიორგი ჩუბინაშვილის ქ. 41, თბილისი, 0164, საქართველო
41 Giorgi Chubinashvili st, Tbilisi, 0164, Georgia
Phone: (+995) 32 2969620
E-mail: tv@mtavari.tv

№ 0062-24

შპს "მთავარი არხის"

კონცეფცია

ტელეკომპანია „მთავარი არხის" კონცეფციური ხედვა და გაცხადებული სარედაქციო პოლიტიკის ხაზი ეფუძნება პრო-დასავლურ ფასეულობებს.

არხის კონცეფცია გულისხმობს დემოკრატიული ფასეულობების, ადამიანის უფლებების, მრავალფეროვანი სოციალური ჯგუფების მხარდაჭერას, ინფორმაციის, იდეათა ფართო სპექტრის გავრცელებას, ყალბ ინფორმაციასთან, რუსულ პროპაგანდასთან, მითებთან ბრძოლას, სიტყვისა და აზრის თავისუფლების, პლურალიზმისა და სარედაქციო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. არხის კონცეფცია მოიცავს „მოდარაჯე ძაღლის" ფუნქციების შესრულებას, საგამოძიებო ჟურნალისტიკას, ანალიტიკასა და ფართო ექსპერტული მოსაზრებების წარმოჩენას.

ტელეკომპანია "მთავარი არხის" კონცეფციური ხედვის ნაწილია მაუწყებლობა მთელი საქართველოს მასშტაბით და ფართო საზოგადოების ინფორმირება, მაყურებელთათვის მაქსიმალურად მრავალფეროვანი ფორმატისა და შინაარსის გადაცემების შეთავაზება. ამგვარი ფორმატისა და შინაარსის გადაცემები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი ტიპის გადაცემებით: საინფორმაციო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ანალიტიკური, საავტორო, „ჰარდ თოქ", მიმოხილვითი, გასართობი, სოციალურ-გასართობი, იუმორისტული, სატირული, ანიმაციური, მუსიკალური, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, შემეცნებით-გასართობი, საბავშვო, ინტელექტუალური, სპორტული, დოკუმენტური და სატელევიზიო, შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილი სხვადასხვა ტიპის, ფორმატისა და სარედაქციო დასაბუთების გადაცემების მომზადება და გადაცემა სატელევიზიო ეთერით.

შპს "მთავარი არხის" კონცეფციური ხედვა ეფუძნება საკუთარი საქმიანობის მუდმივ განვითარებას და ორიენტირებულია მაყურებლისათვის მედიის სფეროში ინოვაციური პროექტების შეთავაზებაზე და მსოფლიო და ლოკალურ მედია ბაზარზე მიმდინარე სიახლეების მიწოდებაზე.

გიორგი გაბუნია/ გენერალური დირექტორი

მანუჩარ ახალაია / დირექტორი

გიორგი ქურდაძე / დირექტორი

გადაცემების ანოტაცია

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტში მოცემული გადაცემების ანოტაცია ემსახურება მხოლოდ ამ ანგარიშის შედგენის მომენტისთვის, გასული წლის განმავლობაში გადაცემული გადაცემების მოკლე შინაარსობრივ განმარტებას. ამასთან, კონკრეტული გადაცემების რომელიმე სარედაქციო კატეგორიის დასაბუთების ქვეშ მოქცევა არ გულისხმობს მიმდინარე პერიოდში მსგავსი დასაბუთების ქონას. გადაცემებმა მიმდინარე პერიოდში შესაძლოა განიცადოს ცვლილება სარედაქციო დასაბუთებაში, ასევე შინაარსობრივი, ფორმატული თუ სხვა ტიპის ელემენტებში, სარედაქციო გუნდის დამოუკიდებელი, შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

წინამდებარე დოკუმენტი ემსახურება მოკლე აღწერილობას, თუ რა ტიპის მასალას უშვებდა მაუწყებელი საკუთარი ეთერის საშუალებით და ამ დოკუმენტში ასახული ინფორმაცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაუწყებლის წინააღმდეგ.

შპს "მთავარი არხი"

საინფორმაციო გადაცემა "მთავარი"

"მთავარი" საქართველოში ერთ–ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული საინფორმაციო გადაცემაა. „მთავარის" საშუალებით მაყურებელი იგებს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, „მთავარის" საინფორმაციო გამოშვებები გადის 8:00, 9:00, 10:00, 11:00, 12:00, 15:00, 18:00 და 21:00 საათზე. დღის საინფორმაციო დატვირთულობიდან გამომდინარე, ეთერში გადის სპეციალური გამოშვებებიც და გვიან ღამით მოკლე საინფორმაციო შეჯამებები „დაიჯესტის" სახით.

გადაცემა "ლიტერატურული სამკუთხედი"

აღნიშნული გადაცემა ყოველ შაბათს, 12 საათიანი საინფორმაციო გამოშვების შემდეგ ახალი წიგნების მიმოხილვას გვთავაზობს. ადგილობრივი გამოცემები და მსოფლიო ბესტსელერების თარგმანები, ლიტერატურული და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ანალიზი სამი მწერლისაგან. გადაცემის წამყვანები არიან ნესტან ნენე კვინიკაძე, ლაშა ბუღაძე და ტორესა მოსი.

დილის გადაცემა- „შენი დილა"

ყოველდღიური, განსხვავებული ფორმატის და ახალი კონცეფციის გადაცემაა. „შენი დილის" მაყურებელი იგებს ყველაფერს, ყველა სფეროდან საქართველოსა თუ მსოფლიოში. სხვადასხვა თემატური წამყვანები/თანაწამყვანები მაყურებელს აწვდიან ამომწურავ ინფორმაციას ხელოვნებაზე, ტექნოლოგიურ სიახლეებზე, მოგზაურობენ დისტანციურად, ეცნობიან კინოინდუსტრიაში არსებულ უახლეს ამბებს, ეხმიანებიან მიმდინარე მოვლენებსა და თემებს და ა.შ.

შუადღის გადაცემა- „შენი შუადღე"

გადაცემა თემატური ჩარჩოების გარეშე. გადაცემა, სადაც შეგიძლია გაიგო ყველაფერი ყველა სფეროდან. სხვადასხვა პროფესიის წამყვანები გიყვებიან ამბებს ტექნოლოგიურ სიახლეებზე, ხელოვნებაზე, ადამიანის უფლებებზე, ლიტერატურაზე, ფსიქოლოგიაზე, თვით-განვითარებაზე, ქვეყნის ისტორიაზე; ეხმიანებიან მიმდინარე პროცესებს და განიხილავენ აქტუალურ საკითხებს სამეცნიერო, სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური კუთხით. "შენი შუადღე" - გადის ყოველ დღე, შაბათ/კვირის გარდა. 12:30 დან 14:00 მდე. წამყვანები მაია გელოვანი და სანდრო წერეთელი.

"პოსტფაქტუმი" (P.F.)

გადაცემა "პოსტფაქტუმი" კვირის შემაჯამებელი ანალიტიკური გადაცემაა. გადაცემის წამყვანი და ჟურნალისტი მიშა სესიაშვილია. გადაცემაზე მუშაობს ყველაზე პოპულარული და გამორჩეული ჟურნალისტების გუნდი. ფორმატის და თემების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, გადაცემა საინტერესოა როგორც უფროსი, ასევე ახალგაზრდა თაობისთვისაც. ქვეყნის შიდა და საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების შეფასება, ჟურნალისტური გამოძიება, ეკონომიკური ანალიზი, ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური, შემეცნებითი, გასართობი თემები და გამორჩეული ადამიანური ისტორიები, ესაა რასაც პოსტფაქტუმის გუნდი თავის მაყურებელს „მთავარ არხზე„ ყოველ კვირას 21:00 საათზე სთავაზობს.

გადაცემის სტრუქტურა ითვალისწინებს წამყვანის მონოლოგს, საინტერესო სიუჟეტებს და დისკუსიას სტუმრებთან ერთად.

„ღამის მთავარი“

კვირის ანალიტიკური გადაცემა ნათია გოგსაძესთსნ, თეა ადეიშვილთან და დეა მამისეიშვილთან ერთად. ღამის მთავარი მაყურებელს სთავაზობს კვირის ყველაზე აქტუალური თემების კონტექსტუალურ ანალიზს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრებიდან; წამყვანების, აგრეთვე, გადაცემის სტუმრების განსხვავებულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს. ფორმატი ითვალისწინებს დებატებს როგორც გადაცემის სტუმრებს, ასევე რესპოდენტებსა და წამყვანს შორის.

„ეკა კვესიტაძის განსხვავებული აქცენტები“

პოლიტიკურ-ანალიტიკური, საავტორო თოქ-შოუ ეკა კვესიტაძესთან ერთად. ამ გადაცემაში ხდება მიმდინარე პოლიტიკური, აქტუალური თემების განხილვა სტუმრებთან ერთად, კრიტიკა, მსჯელობა და ანალიზი. გადაცემაში მოისმენთ ავტორისა და წამყვანის ავტორისეულ შეფასებებს. გადაცემის სტრუქტურა ითვალისწინებს წამყვანის მონოლოგს და დისკუსიას სტუმრებთან ერთად.

თოქშოუ- "სხვა ნანუკა"

გადაცემის ავტორი და წამყვანია ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი, რომელიც იწვევს სტუმრებს გარე სტუდიაში საინტერესო თემებზე სასაუბროდ და იძლევა საკუთარ ავტორისეულ შეფასებას კონკრეტულ საკითხებზე. გადაცემა სოციალურ-გასართობი სარედაქციო დასაბუთებისაა, წამყვანი თავის გუნდთან ერთად ქველმოქმედების მიზნით ირჩევს გმირს და აწყობს მარათონს მის დასახმარებლად.

გადაცემაში აქ ყველაფერი ბუნებრივი და გულწრფელია. აქ არის ის, რაც რეალურად ხდება! ნანუკა ჟორჟოლიანის ყოველკვირეული, არაპოლიტიკური თოქშოუ - ეს არის ექსკლუზიური მასალები, მოულოდნელი პრემიერები, გულწრფელი ინტერვიუები და რაც მთავარია აერთიანებს საზოგადოებას საქველმოქმედო მიზნებით.

„ახალი თინა“

გადაცემა ყოველ ოთხშაბათს 23:00 საათზე გადის ეთერში, რომლის წამყვანიც თიკო სადუნიშვილია. ყოველი გადაცემით ცდილობენ შთააგონონ ადამიანებს დაფიქრდნენ რამდენად მნიშვნელოვნია ემოციური და მენტალური კეთილდღეობა. იმისთვის, რომ წვლილი შევიტანოთ უფრო პოზიტიური და კეთილგანწყობილი სამყაროს განვითარებაში.

იუმორისტული თოქშოუ-"ილო ბეროშვილის ღამის შოუ“

გადაცემა არის პოლიტიკურ-იუმორისტული, სატირული, ღამის ფორმატის თოქ შოუ. გადაცემის წამყვანია ილო ბეროშვილი.

გადაცემის ძირითადი ნაწილებია:

- მონოლოგი, სადაც გადაცემის წამყვანი განიხილავს აქტუალურ პოლიტიკურ თუ სოციალურ მოვლენებს.
- სტუმრის ბლოკი, სადაც გადაცემის წამყვანი ესაუბრება ცნობილ პოლიტიკოსებს, მომღერლებს, მსახიობებს, სპორტსმენებს და საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებს.

გადაცემა ასევე შედგება სხვადასხვა იუმორისტული, სატირული, მუსიკალური, პაროდიული მინი სკეტჩებისგან, რომლებიც ეხმიანება ქვეყანაში არსებულ აქტუალურ მოვლენებს.

გადაცემა „ილო ბეროშვილის ღამის შოუ“ ეთერში გადის ყოველ პარასკევს, 23:00 საათზე.

„მთავარი ჭკვიანი“

გადაცემა არის ინტელექტუალური შინაარსის, სადაც მონაწილეს შეუძლია თავისი ცოდნის სანაცვლოდ მოიგოს თანხა. თამაში შედგება 13 შეკითხვისგან და იყოფა 3 ეტაპად. თითოეულ შეკითხვას აქვს პასუხის 5 შესაძლო ვარიანტი, რომელთაგანაც მხოლოდ ერთია სწორია, ასევე მონაწილეს აქვს 3 ტიპის დახმარება. 13 შეკითხვაზე სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში მოთამაშე იგებს 100 000 ლარს.

გადაცემის წამყვანია ნიკა გვარამია.

გადაცემა ეთერსი გადის ყოველ პარასკევს, 22:00 საათზე.

„მხოლოდ ლელასთან“

მხოლოდ ლელასთან- კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს, ღამის 22:00 საათზე გადის გადაცემა. გადაცემის წამყვანია ლელა წურწუმია. გადაცემა აგებულია რესპოდენტის მთავარ ამბავზე, რომელიც ყვება ისტორიას, რომელიც არსად არ მოუყოლია.

„მთავარი მსოფლიოში“

პოლიტიკურ-ანალიტიკური საავტორო თოქ-შოუ ეკა კვესიტაძესთან ერთად. გადაცემაში ხდება მსოფლიოში მიმდინარე მთავარი პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების განხილვა სტუმრებთან ერთად, კრიტიკა, მსჯელობა და ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ გლობალურ პოლიტიკურ მოვლენებსა თუ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და ეროვნულ უსაფრთხოებაზე.

გადაცემაში, ასევე განიხილება საქართველოს ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან, ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხები და, რიგ შემთხვევებში, შიდაპოლიტიკური პროცესებიც - თუ ისინი გავლენას ახდენს საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე. გადაცემაში მოისმენთ, როგორც ავტორების/წამყვანების, ისე მოწვეული სტუმრების პირად შეფასებებს. გადაცემის სტრუქტურა ითვალისწინებს წამყვანის შესავალ სიტყვას, სტუმრებთან დიალოგს/დისკუსიას, ასევე კვირის აქტუალურ საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენებზე მომზადებულ სიუჟეტებს.

„დღის სტუმარი“

დღის სტუმარი - პოლიტიკური გადაცემა დღის მთავარ თემებზე. ეთერში გადის ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, ორჯერ დღეში, 15:00 და 18:00 საათიანი საინფორმაციო გადაცემის შემდეგ. გადაცემის წამყვანი,

მოწვეულ სტუმართან (სტუმრებთან) ერთად არჩევს დღის მთავარ თემას (თემებს). საინფორმაციო გამოშვებებისაგან განსხვავებებით, „დღის სტუმარი“ მთავარ თემას გაცილებით ღრმად და ფართოდ აშუქებს და მოვლენის მონაწილეებს, ექსპერტებს და გადაცემის სტუმრებს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა კუთხით და სხვადასხვა ასპექტით იმსჯელონ დღის მთავარ თემებზე. გადაცემის მიზანია საშუალება მისცეს მაყურებელს, შეიქმნას სრული წამოდგენა დღის მთავარი მოვლენების შესახებ, მოისმინოს სხვადასხვა მოსაზრება ამ თემაზე. გარდა ამისა, გადაცემა ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას დღის მნიშვნელოვან საკითხებზე. გადაცემის წამყვანები არიან თეა ადეიშვილი, ნათია გოგსაძე, დეა მამისეიშვილი, ნინუცა კეკელია და ნინო გაზდელიანი.

„Sport-ერა“

ყოველკვირეული სპორტული გადაცემა “მთავარი არხის” ეთერში, სადაც ნახავთ, ყველაფერს სპორტის შესახებ, სიახლეებს სპორტული სამყაროდან, მსოფლიოს მაშტაბით, სამოტივაციო რუბრიკებს, დამწყები სპორტსმენებისთვის. გადაცემა გადის, ყოველ ორშაბათს 23:00 საათზე. წამყვანი - დავით ერაძე.

„სპორტი მთავარზე“

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით მთავარი 21:00 საათიანი საინფორმაციო გამოშვების დასრულებისთანავე, გადაცემის წამყვანი დავით ერაძე, გაგვაცნობს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ფარგლებს გარეთ მომხდარ სპორტულ სიახლეებს.

„როგორ გადავრჩი“

გადაცემა, როგორ გადავრჩი არის საზოგადოებრივი და სამედიცინო გადაცემა. თოქ- შოუს მიზანია, საზოგადოებისთვის ცნობილი და უცნობი ადამიანების ისტორიებზე, სამედიცინო დიაგნოზებზე და სხვადასხვა მიზეზით მიღებულ ტრავმების მაგალითზე მოისმინონ რჩევები. გადაცემის წამყვანი ექიმი - ონკოლოგი გიორგი ღოღობერიძეა. გადაცემის მეორე ნაწილი ეთმობა სხვადასხვა სამედიცინო რჩევებსაც, რომელიც შესაძლოა ნებისმიერ ადამიანს აწუხებდეს, გადიოდეს მკურნალობას ან ამ დრომდე არ მიუმართავს ექიმისთვის. გადაცემა ეთერში გადის შაბათს 22:30 წუთზე

„პუტკუნების კულინარიული მოგზაურობა“

კულინარიული გადაცემა, ეკა, ნინო და გაიანე, გადაცემის წამყვანები, სტუმრობენ ბაზარს და იმ ხალხმრავალ ადგილებს, სადაც შესაძლებელია პროდუქტების ყიდვა, ატარებენ ფასთა კვლევას, აქვთ კომუნიკაცია მოვაჭრეებთან და მოსახლეობასთან, გვაძლევენ რჩევებს, როგორ შევარჩიოთ ესა თუ ის ინგრედიენტი კერძისთვის. გადაცემის მეორე ნაწილი მოიცავს შეძენილი ინგრედიენტებით კერძის მომზადებას.

„სადილი ქეთისთან“

„სადილი ქეთისთან“ არის ყოველ კვირეული გადაცემა. გადაცემის წამყვანი, ქეთი ბაქრაძე ამზადებს იშვიათ, განსაკუთრებულ, მისივე რეცეპტებით მომზადებულ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კერძებს. გადაცემის წამყვანი ირჩევს სტუმარს, მიდის რესპოდენტთან რათა გაიგოს სტუმრის გასტრონომიული გემოვნება. შეგროვებული ინფორმაციის მოხედვით ქეთი ბაქრაძე უკვე სტუმარს საკუთარ სივრცეში მასპინძლობს და სადილით უმასპინძლდება.

„მთავარი დიაგნოზი“

მთავარი დიაგნოზი, არის სამედიცინო თოქ-შოუ, რომლის მიზანიცაა, საზოგადოებაში აამაღლოს ჯანმრთელობაზე ზრუნვის კულტურა. გადაცემის [ახალი] წამყვანები, ოფთალმოქირურგი თამარ ცირეკიძე და ზოგადი ქირურგი, დავით ლოლაძე მოწვეულ ექიმებთან ერთად განიხილავენ მკურნალობის ძირითად პრინციპებს, როგორ მოუფრთხილდნენ საკუთარ ჯანმრთელობას, კონკრეტული ჩივილების წარმოქმნისას რა

დაავადებაზე მიიტანონ ეჭვი, რამდენად მნიშვნელოვანია ექიმთან დროული ვიზიტი. ამ გადაცემის დახმარებით, საზოგადოება გაიაზრებს როგორ ფუნქციონირებს ადამიანის ორგანიზმი, როგორ და რატომ უნდა მოვუფრთხილდეთ მას. გადაცემა ეთერში გადის ყოველ შაბათს 18:40 საათზე.

„ახალი სახლი“

გადაცემა "ახალი სახლის" მეშვეობით ნებისმიერი ობიექტი შეიძლება გარდაიქმნას დიზაინერული იდეების წყალობით. ყველა გამოშვებაში მოწვეული დიზაინერი გადაცემის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად სრულიად ახალი სახით გვაჩვენებს ინერიერერს. ახალი იდეებისა და ხერხების გამოყენებით ხდება ნებისმიერი, ხშირად ძალიან რთული ამოცანების ამოხსნა. ყველა გადაცემაში ჩვენ ვცდილობთ დავისახოთ ახალი მიზანი, გარდავქმნათ სხვადასხვა დანიშნულების სივრცე, რათა მაყურებელს საინტერესო პროცესის თანამონაწილეობს გარდა, ახალი პრაქტიკული დანიშნულების ინფორმაცია მივაწოდოთ. გადაცემის წამყვანია სალომე დადუნაშვილი.

„ჩვენებური ევროპა“

საავტორო გადაცემა „ჩვენებური ევროპა“ გადაცემის ავტორი და წამყვანია ლოტბარი გიორგი უშიკიშვილი. გადაცემების სერია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მზადდება და ის წარსულში ჩაკარგული ევროპული კვალის და პროევროპულად განწყობილი ქართველი პატრიოტების ისტორიების ძიება-წარმოჩენას გულისხმობს.

ტელენოველები და ფილმები

წლის განმავლობაში ეთერით გადიოდა სხვადასხვა ჟანრის ტელენოველები, ფილმები და დოკუმენტური ფილმები.

,,მთავარი არხის'' თვითრეგულირების ორგანოში 2023 წელს შემოსული საჩივრები

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ გათვალისწინებული მოთხოვნა მაუწყებლის ანგარიშვალდებულების შესახებ: „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-8 მუხლის (ანგარიშვალდებულება) შესაბამისად, "მთავარი არხი'' წარმოგიდგენთ თვითრეგულირების სისტემის შესახებ ანგარიშს კანონით მოთხოვნილი ინფორმაციის გათვალისწინებით: ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით შესული საჩივრები (სააპელაციო საჩივრები), განცხადებებისა და მათ თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ:

2023 წელს „მთავარი არხის“ თვითრეგულირების ორგანოში არცერთი საჩივარი არ შემოსულა.